F 171
1955

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И РАСПОРЯЖЕНИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

9

სექტემბერი

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ
ЭКЗЕМПЛЯР

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი—1955

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1099

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 18 ივნისი

კასპის რაიონის საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ კასპის რაიონის საბავშვო ბაღების მუშაობას, ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს.

ზოგ საბავშვო ბაღში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ბავშვებში არაა გაძომუშავებული კულტურულ-ჰიგიენური ჩვევები, სისტემატურად არ ტარდება დილის ვარჯიში, ფიზიკური მეცადინეობა და მოძრავი თამაშობები. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ბუნების მოვლენებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ ცოდნა-წარმოდგენების გამომუშავებას. არ სწარმოებს ბავშვების მეტყველების განვითარებისათვის საჭირო პედაგოგიური მუშაობა. არასაკმაო ყურადღება ექცევა შრომისა და კოლექტიურობის ჩვევების აღზრდას.

ყარაღაჯის, გრაკალის, ზემო ხანდაკის, კავთისხევის საბავშვო ბაღების ჯგუფები არასწორადაა დაკომპლექტებული. ეს საბავშვო ბაღები მოთავსებული არიან შეუფერებელ ბინებში.

მეტეხის, ახალქალაქის, კავთისხევისა და ცემენტის ქარხნის საბავშვო ბაღის ეზოები მოუწყობელია.

საბავშვო ბაღის შენობებს ესაჭიროება რემონტი.

გრაკალისა და ყარაღაჯის საბავშვო ბაღებში სამედიცინო მომსახურება არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული.

მომმარაგებელი ორგანიზაციები საბავშვო ბაღებს ვერ აწვდიან ნორმით დაწესებულ პროდუქტებს: მ/წლის პირველ კვარტალში სრულებით არ მიუღიათ კარაქი, ხორცი, რძე, კვერცხი და სხვ.

გრაკალისა და ყარაღაჯის საბავშვო ბაღებში პურის მიწოდების საქმე მოუგვარებელია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საბავშვო ბაღის გამგეებმა:

ა) უმოკლეს დროში გარდაქმნან პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა;

ბ) დანერგონ ბავშვებში კულტურულ-ჰიგიენური ჩვევები;

გ) რეგულარულად ჩაატარონ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დილის ვარჯიში, ფიზიკური მეცადინეობანი და მოძრავი თამაშობანი;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბავშვებში მეტყველების სწორად განვითარებას, შრომისა და კოლექტიურობის ჩვევების გამომუშავების საქმეს;

ე) დროულად ჩაატარონ მიმდინარე და კაპიტალური რემონტი;

ვ) უზრუნველჰყონ საბავშვო ბაღების ეზოების მოწყობა.

2. განათლების განყოფილებამ (გამგე ამხ. ვ. ალექსიძე):

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საბავშვო ბაღებში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეს;

ბ) ქმედითი ზომები მიიღოს საბავშვო ბაღების კვების პროდუქტებით შეუფერხებელი მომარაგების უზრუნველსაყოფად;

გ) სისტემატურად ჩაატაროს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა პედაგოგებისა და გამგეების მეთოდური თათბირები. მიაღწიოს პედაგოგიური და აღმზრდელობითი მუშაობის ამაღლებას;

დ) უზრუნველჰყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სამოედნო-გამაჯანსაღებელი მუშაობის ნორმალურ პირობებში ჩატარება.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს გააუმჯობესოს კასპის რაიონის საბავშვო ბაღების კვების პროდუქტებით მომარაგების საქმე.

4. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ი. ჩინჩალაძე) შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება მ/წლის მეოთხე კვარტალში.

საფუძველი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 17 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი გ. ჯიბლაძე

ბრძანება № 1343

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

1955 წლის 15 ივლისი

ბეთანიის საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ბეთანიის საბავშვო სახლში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

უკანასკნელ პერიოდში საბავშვო სახლში გაუარესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. ბავშვებში არაა გამომუშავებული სანიტ-ჰიგიენური ჩვევები, აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი პირადი ჰიგიენის საგნებით, იზოლატორი მოთავსებულია შეუფერებელ ადგილზე, მოუწესრიგებელია პირსაბანები. საბავშვო სახლში შექმნილია ანტისანიტარია.

მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა, ექიმის თანაშემწემ მ. ბოჭორიძემ ვერ უზრუნველჰყო აღსაზრდელთა შორის სამედიცინო მომსახურების სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

საბავშვო სახლის ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის თანამშრომელთა არაკოლეგიური დამოკიდებულება. აღმზრდელი კ. დურდიაძე აჯგუფებს თანამშრომლებს დირექტორის წინააღმდეგ. მან დირექტორის წინააღმდეგ გამოიყენა უკმაყოფილო აღმზრდელი მ. აშკარელაშვილი, ყოფილი აღმზრდელი მ. გრიგოლია, ექიმის თანაშემწე — მ. ბოჭორიძე და ღამის ყარაული — გ. არუთინაშვილი.

საბავშვო სახლში სხვადასხვა ტექნიკურ სამუშაოზე მუშაობს და ცხოვრობს კ. დურდიაძის 9 ნათესავი, ისინი საბავშვო სახლის პატიოსან მუშაკებს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ და დირექტორის განკარგულებებს არ ასრულებენ.

კ. დურდიაძის მეუღლე — აღმზრდელი ბ. გზირიშვილი არ ემორჩილება დირექციას, არ ასრულებს მის დავალებებს, ხელს უშლის საბავშვო სახლის მუშაობას. მან ძალდატანებით საბავშვო სახლის დიასახლისს ჟ. აბიათარს გამოაცვლევინა 4 კგ. გაფუჭებული ხორცი ახალ ხორცზე.

კ. დურდიაძემ გასულ წელს თავის სიძესთან ბ. ვოკინევთან ერთად (მზარეულის თანაშემწე) საბავშვო სახლის სამზარეულოს

ნარჩენებით გაზარდა 25 გოჭი საბავშვო სახლის ტერიტორიაზე და იქვე უყო რეალიზაცია.

კ. დურდიაძე სამუშაო საათებში სისტემატურად არაფხიზელ მდგომარეობაში ცხადდება სააღმზრდელო ჯგუფში.

აღმზრდელი მ. აშკარელაშვილი უწიგნურია და ხშირად თხზავს ცილისმწამებლურ წერილებს. გასული წლის 28 მაისს განათლების სამინისტრომ მოხსნა იგი სამუშაოდან სუსტი მუშაობისათვის, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში მისი ოჯახური მძიმე მდგომარეობა, 5 სექტემბერს კვლავ დანიშნა ბეთანიის საბავშვო სახლში აღმზრდელად და რვაწლიანი სკოლის ისტორიის მასწავლებლად.

მ. აშკარელაშვილმა ამჯერადაც ვერ გააკეთა სათანადო დასკვნები და დაიწყო ბრძოლა დირექტორ — მ. სიმონიშვილის წინააღმდეგ.

მ. აშკარელაშვილი სრულიად შეუფერებელია პედაგოგიური სამუშაოსათვის;

საბავშვო სახლის დირექტორი მ. სიმონიშვილი სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას ვერ ახორციელებს საბავშვო სახლის მუშაობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საბავშვო სახლის დირექტორმა მ. სიმონიშვილმა:

ა) უმოკლეს დროში უზრუნველყოს საბავშვო სახლში სამედიცინო მომსახურების სათანადო სიმაღლეზე დაყენება;

ბ) სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიოს აღმზდელებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ დაყენებაში;

გ) დაუყოვნებლივ გადასინჯოს საბავშვო სახლის ტექნიკური პერსონალი და შეუფერებელი მუშაკები შეცვალოს ახალი კადრებით.

2. ბეთანიის საბავშვო სახლის დირექტორს მ. სიმონიშვილს მუშაობის სუსტად დაყენებისათვის გამოეცხადოს საყვედური;

3. საბავშვო სახლის აღმზრდელი კ. დურდიაძე სუსტი მუშაობისა და თანამშრომელთა უპრინციპო დაჯგუფებისათვის გათავისუფლდეს სამუშაოდან;

4. აღმზრდელი მ. აშკარელაშვილი, რომელიც მრავალჯერ იყო გაფრთხილებული, მაგრამ სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანა, კვლავ განაგრძობს საბავშვო სახლში ხელისშემშლელ საქმიანობას,

ვერ უზრუნველყოფს აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვას, მოიხსნას სამუშაოდან;

5. აღმზრდელი ბ. გზირიშვილი გადაყვანილ იქნას სხვა საბავშვო სახლში ამავე თანამდებობაზე;

6. დაისვას საკითხი ქ. თბილისის გარეუბნის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების წინაშე ექიმის თანაშემწე მ. ბოჭორიძის სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

7. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ი. ჩინჩალაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 5 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი. **გ. ჯიბლაძე**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1429

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წ. 3 აგვისტო

საბავშვო სახლებში 1955 წლის მეორე კვარტალში ჩატარებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ.

საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების მიერ 1955 წლის მეორე კვარტალში საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროსთან ერთად შემოწმებულია 19 საბავშვო სახლის მუშაობა; შემოწმების შედეგები განხილულია ხელმძღვანელი ორგანოების მიერ და დასახულია სათანადო ღონისძიებანი. ამავე პერიოდში უშუალოდ განყოფილების მიერ შესწავლილია ბეთანიის, ბორჯომის, ვაშლოვანის, კარდანახის, რუსთავისა და თამარაშენის საბავშვო სახლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და ჩატარებულია დოკუმენტური რევიზია.

ბეთანიის საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების შედეგები განხილულია კოლეგაზე ამა წლის 5 ივლისს.

ბორჯომის, ვაშლოვანის, კარდანახის, რუსთავისა და თამარაშენის საბავშვო სახლების მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებანი ახა-

სიათებს. რუსთავისა და თამარაშენის საბავშვო სახლების აღსაზრ-
დელთა აკადემიური მოსწრება დაბალია; რუსთავის საბავშვო სახ-
ლის 88 აღსაზრდელიდან 4 ვერ ასწრებს, ხოლო ხუთოსანი-
ლოდ 2 მოსწავლეა. თამარაშენის საბავშვო სახლის 58 აღსაზრდე-
ლიდან 14 აღსაზრდელი ოროსანია. აღსაზრდელთა ასეთი დაბალი
აკადემიური წარმატება გამოწვეულია აღმზრდელთა არადამაკმაყო-
ფილებელი მუშაობით და სკოლასა და საბავშვო სახლის კოლექტი-
ვებს შორის სუსტი კავშირით.

დასახელებული საბავშვო სახლების აღმზრდელები არ იცნობენ
ცალკეული კლასებისა და საგნების სწავლების პროგრამებს, თვითონ
არ არიან დაუფლებული საპროგრამო მასალას, არაორგანიზებულად
ტარდება საშინაო დავალებათა მომზადება.

თამარაშენის საბავშვო სახლის დირექტორი თ. ხარებოვა არადა-
მაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს აღმზრდელებსა და შრომის
ინსტრუქტორებს: არ ესწრება მეცადინეობაზე და არ ეხმარება მათ
სასწავლო მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

ბორჯომის, რუსთავისა და თამარაშენის საბავშვო სახლებს
დღემდე არა აქვთ მოწყობილი 7-11 წლის ასაკის აღსაზრდელთათვის
პოლიტექნიკური შრომის ოთახები. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა
აღსაზრდელთა შორის სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და ზოგადტექ-
ნიკური შრომის სწავლების პროგრამებით გათვალისწინებული მასა-
ლის ღრმად და საფუძვლიანად ათვისების საქმეს.

რუსთავის საბავშვო სახლის შრომის ინსტრუქტორი თ. ბარაბა-
ძე უგეგმოდ მუშაობს. ამავე სახლის ხის დამმუშავებელი და ფეხსა-
ცმელების შემკეთებელი სასწავლო სახელოსნოების მუშაობა ფორ-
მალურ ხასიათს ატარებს.

შემოწმებული საბავშვო სახლების დირექტორები, სრულიად არ
აქცევენ ყურადღებას ასაკგადაცილებულ აღსაზრდელთა სამუშაოზე
მოწყობის საქმეს. თამარაშენის, ვაშლოვანის, ბორჯომის, კარდანახის
და რუსთავის საბავშვო სახლების 405 აღსაზრდელიდან 52 ასაკგა-
დაცილებული აღსაზრდელი დღემდე არაა მოწყობილი სამუშაოზე.

თამარაშენის საბავშვო სახლის აღსაზრდელთა სამედიცინო მომ-
სახურება არადამაკმაყოფილებელია: მიმდინარე წელს ღრმა სამედი-
ცინო შემოწმება არაა ჩატარებული; სკოლისგარეშე და კლასგარეშე
მუშაობა ჩაშლილია; აღსაზრდელთა შორის დისციპლინა არ დგას სა-
თანადო სიმაღლეზე; საბავშვო სახლის აღსაზრდელები არ არიან

უზრუნველყოფილი პირადი ჰიგიენის საგნებით. ყველა თანამშრომელს არა აქვს სამედიცინო წიგნაკი; აღსაზრდელთა დაბანა და თეთრეულის გამოცვლა არ წარმოებს წესდებით დაწესებულ (კვირაში ერთჯერ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება შემოწმებული საბავშვო სახლების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა.

თამარაშენის საბავშვო სახლის სარემონტო სამუშაოები წლების განმავლობაში ჭიანურდება. მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 80,000 მანეთიდან 27 ივნისისათვის ათვისებული იყო 8,000 მანეთი. საბავშვო სახლის ეზო შემოუღობავი და მოუწესრიგებელია. აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელით.

სუსტად მუშაობენ შემოწმებული საბავშვო სახლების სამეურნეო კომისიები. საბავშვო სახლებში პროდუქტების, რბილი და მაგარი ინვენტარის მიღება და გამოყენება წარმოებს სამეურნეო კომისიების მონაწილეობის გარეშე.

თამარაშენისა და რუსთავის საბავშვო სახლებში აღსაზრდელთა კვება მოუწესრიგებელია.

ბორჯომის, რუსთავისა და თამარაშენის საბავშვო სახლებში ადგილი აქვს თანხების დიდი რაოდენობით გადახარჯვებსა და აუთვისებლობას; დარღვეულია საბუხჰალტრო საბუთების გაფორმებისა და აღრიცხვის წესები, არასწორად ხდება მივლინების ხარჯების განაღდება.

რუსთავის საბავშვო სახლის დირექციამ ვერ უზრუნველყო 1953 წლის 5 ივლისს ჩატარებული დოკუმენტური რევიზიის აქტში აღნიშნული დეფექტების გამოსწორება. რევიზიის მომენტში მზარეულს არ აღმოაჩნდა მენიუ და ფაქტურები. გასული და მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის ფაქტურები არაა დანომრილი, ფაქტურებში არ არის შეტანილი ფასი და ჯამი. არ წარმოებს ყოველდღიური ხარჯების დაანგარიშება. ქვაბში პროდუქტების ჩაშვების შესახებ აქტები არ დგება. საბუხჰალტრო წიგნებში გაუფორმებელი საბუთები ტარდება. საწყობიდან რბილი ინვენტარის გაცემა ხდება არტიკულებისა და ნომრების აღნიშვნის გარეშე. ხმარებისათვის უვარგისი ყველა სახის ფეხსაცმელი ჩამოწერილია ერთნაირი ფასით. მზრუნველთა საბჭოები და საშეფო ორგანიზაციები ფორმალურად არსებობენ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წინადადება მიეცეს თამარაშენის, ბორჯომის, ვაშლოვანის, კარდანახისა და რუსთავის საბავშვო სახლის დირექტორებს უზრუნველჰყონ ამ ბრძანებაში და ნარკვევ მასალებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორება და მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

2. დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ნ. მედოევას განიხილოს თამარაშენის საბავშვო სახლის მუშაობის საკითხი, გაატაროს სათანადო ღონისძიებანი და შედეგების შესახებ მაცნობოს მ/წლის 1 სექტემბრამდე.

3. რუსთავის საბავშვო სახლის სასწავლო-საალმზრდელო ნაწილის გამგეს ამხ. გ. აბაშიძეს აღმზრდელთა მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისა და აღსაზრდელთა დაბალი აკადემიური წარმატებისათვის გამოეცხადოს საყვედური.

4. რუსთავის საბავშვო სახლის დირექტორს ამხ. ლ. პავლოვას საბავშვო სახლის მუშაობაზე სუსტი კონტროლისათვის გამოეცხადოს საყვედური.

5. დაევალოს რუსთავის საბავშვო სახლის დირექტორს ამხ. ნ. პავლოვას საბუხჰალტრო საქმეების მოუწესრიგებლობისა და თანხების გადახარჯვების დაშვებისათვის სათანადო სასჯელი დაადოს ბუხჰალტერ მ. წინწკალაძეს.

6. დაევალოს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებას (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე) ქმედითი დახმარება გაუწიოს საბავშვო სახლებს ამ ბრძანებაში აღნიშნული დეფექტების გამოსასწორებლად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 30 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ჯიბლაძე.**

ბრძანება № 1535

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1955 წლის 2 სექტემბერი

შრომის წიგნაკების აღრიცხვის, შენახვისა და წარმოების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში

შემოწმებით დადასტურდა, რომ ზოგიერთი რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგე, სკოლები და განათლების სამინისტროს დაქვემდებარებული სხვა დაწესებულებები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 20 დეკემბრის დადგენილების შესრულებას და არ ღებულობენ ზომებს როგორც მასწავლებელთა, ისე განათლების სხვა მუშაკთა შრომის წიგნაკებით უზრუნველყოფის, შენახვის, აღრიცხვისა და ამ წიგნაკებში ჩანაწერების წარმოების საქმის მოსაგვარებლად.

ზუგდიდის რაიონში 103 მასწავლებელსა და პიონერთა სახლის მუშაკებს სრულებით არ გააჩნიათ შრომის წიგნაკი.

შრომის წიგნაკები არ აღმოაჩნდათ აგრეთვე მესტიის, მცხეთისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მასწავლებლებს, აგრეთვე სკოლების ადმინისტრაციულ ტექნიკურ პერსონალს.

ხშირია შემთხვევა, როდესაც შრომის წიგნაკები არასწორადაა შევსებული. ბევრ წიგნაკში წლების მანძილზე არ ხდება ცნობების შეტანა მუშაკის სამსახურებრივ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ. ზოგჯერ წიგნაკში არ არის შეტანილი ამ ცვლილებების საფუძვლები (ბრძანების ნომერი, თარიღი და სხვ.), არ არის შეტანილი აგრეთვე ცნობები წახალისებისა და დაჯილდოების შესახებ. ხშირად სამუშაოდან დათხოვნის შესახებ ჩანაწერები არ არის ფორმირებული მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. შრომის წიგნაკი მხოლოდ ერთ ენაზეა შევსებული ან მათი მფლობელის მიერ ხელმოუწერელია.

ზოგ ადგილას შრომის წიგნაკები ინახება ღია კარადებში.

შრომის წიგნაკების შევსება — გაცემის საქმე არ არის გაპიროვნებული გარკვეულ პირზე.

შრომის წიგნაკების აღრიცხვის ,შენახვისა და წარმოების საქმეში საჭირო წესრიგის დამყარების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წინადადება მიცეთ აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებათა გამგეებს, პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სასწავლებლების დირექტორებს:

ა) ერთი თვის ვადაში შეამოწმონ შრომის წიგნაკების გაცემის, შენახვისა, აღრიცხვისა და მათში ჩანაწერების წარმოების მდგომარეობა, მიიღონ გადამჭრელი ზომები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის;

ბ) დაუყოვნებლივ შეუვსონ შრომის წიგნაკები ყველა იმ მომუშავეს, რომელთაც ასეთი დღემდე არ გააჩნიათ, ხოლო მომავალში არ დაუშვან სამუშაოზე მუშაკების მიღება შრომის წიგნაკების გარეშე; ახლადდამწყებ მუშაკებზე კი უზრუნველყონ წიგნაკების შევსება 5 დღის ვადაში დღიდან სამუშაოზე მიღებისა;

გ) დროულად აწარმოონ ჩანაწერები შრომის წიგნაკებში ქართულ და რუსულ ენებზე, სისტემატურად შეიტანონ ცნობები სამსახურებრივ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ, თითოეული ჩანაწერი შემოწმდეს დაწესებულებების ხელმძღვანელის ხელისმოწერითა და ბეჭდის დასმით;

დ) ბრძანებით გამოყონ შრომის წიგნაკების წარმოებისათვის პასუხისმგებელი პირები.

2. ვანიჭებ რა დიდ მნიშვნელობას შრომის წიგნაკების სწორად წარმოების საქმეს, ვაფრთხილებ განათლების სამინისტროს სისტემის ყველა დაწესებულების ხელმძღვანელს, რომ შრომის წიგნაკებისადმი დაუდევარი დამოკიდებულებისათვის დამნაშავე პირთ დაედებათ მკაცრი სასჯელი.

3. ამ ბრძანების შესრულების შემოწმება მოხდეს მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **გ. ჯიბლაძე.**

ბრძანება № 1578

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 10 სექტემბერი

საბავშვო სახლების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს მიერ საბავშვო სახლების მუშაობის შემოწმების შედეგად გამოირკვა,

რომ საბავშვო სახლების მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგ საბავშვო სახლებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. კოჯრის № 3 და ლენინგორის საბავშვო სახლების აღმზრდელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ აღსაზრდელთა სწავლა-აღზრდის საქმეს. თბილისის ვაკისა და კოჯრის № 6 საბავშვო სახლები არ არიან უზრუნველყოფილი თვალსაჩინო-სასწავლო ნივთებითა და სახელმძღვანელოებით.

საბავშვო სახლების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად გასული 1954/55 სასწავლო წელს რესპუბლიკის საბავშვო სახლებში ორასამდე აღსაზრდელი დარჩა იმავე კლასში.

საბავშვო სახლებში ადგილი აქვს აგრეთვე დისციპლინის დარღვევისა და აღსაზრდელთა საბავშვო სახლებიდან გაქცევის შემთხვევებს (მახინჯაურის საბავშვო სახლი).

არასათანადო სიმაღლეზე დგას შრომითი აღზრდა კოჯრის №№3 და 7 საბავშვო სახლებში. ამ საბავშვო სახლების აღსაზრდელთა ძხოლოდ 50%-ია ჩაბმული შრომით სწავლაში. ახალციხის, ბორჯომის და ვაშლოვანის საბავშვო სახლების შრომის ოთახები არაა უზრუნველყოფილი მასალებითა და საჭირო ხელსაწყო-იარაღებით. ჩოხატაურისა და თბილისის ვაკის საბავშვო სახლებში არაა მოწყობილი შრომითი ოთახები.

იმის გამო, რომ საბავშვო სახლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ აღსაზრდელებში შრომითი ჩვევების გამომუშავების დანერგვისა და აღსაზრდელთა სამუშაოზე მოწყობის საქმეს, ასაკგადაცილებულ აღსაზრდელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამუშაოზე მოუწყობელია.

ზოგ საბავშვო სახლში არადამაკმაყოფილებლად დგას სამედიცინო მომსახურება, ადგილი აქვს სანიტარულ-ჰიგიენური წესების დარღვევის შემთხვევებს.

საბავშვო სახლები არაა უზრუნველყოფილი რბილი და მაგარი ინვენტარით. (თამარაშენის, ბათუმის, გეგეჭკორის, ქუთაისის საბავშვო სახლები).

მიუხედავად მთავრობის მრავალგზის მითითებისა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირმა მაინც ვერ უზრუნველყვეს საბავშვო სახლების ნორმით დაწესებული პროდუქტებით მომარაგება.

საბავშვო სახლები ვერ ღებულობენ კარტოფილს, კომბოსტოს, ხახვს და სხვა ბოსტნეულს. მცირე რაოდენობით და არასისტემატურად ღებულობენ ხილს, რძეს, ხორცს და კვერცხს.

განსაკუთრებით ცუდათაა პროდუქტებით მომარაგების საქმე ონის, ზედარგანის (ჭიათურის რაიონი), საჩხერისა და ჩოხატაურის საბავშვო სახლებში. 15 თვის განმავლობაში ონის საბავშვო სახლის აღსაზრდელთათვის არ მიუციათ ცხელი საუზმე და ვახშამი.

ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია საბავშვო სახლების ქსელისა და კონტინგენტის საქმე. კურორტ კოჯრის ტერიტორიაზე მოთავსებული 9 საბავშვო სახლი სრულიად არ არის დაკომპლექტებული აღსაზრდელებით.

საბავშვო სახლების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი გამოწვეულია საბავშვო სახლების დირექტორების არადამაკმაყოფილებელი მუშაობით, განათლების სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების არასათანადო ხელმძღვანელობით და კონტროლით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 20 აგვისტოს № 442 დადგენილების შესასრულებლად — ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას, ყველა რაიონის და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მომწყობი კომისიების მეშვეობით უზრუნველჰყონ მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების მოწყობა საბავშვო სახლებში ან მშრომელთა ოჯახებში (გაშვილება, პატრონატი და მეურვეობა);

ბ) სისტემატურად განიხილონ საბავშვო სახლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის, უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა სამუშაოზე მოწყობის საკითხები;

2. საბავშვო სახლის დირექტორებმა:

ა) უზრუნველყონ ბავშვთა კომუნისტური აღზრდა და მათი პრაქტიკული ცხოვრებისათვის მომზადება;

ბ) უმოკლეს დროში უზრუნველყონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება, მოწინავე საბავშვო სახლების ურთიერთ გამოცდილების გაზიარების საფუძველზე;

გ) აღკვეთონ საბავშვო სახლებიდან აღსაზრდელების გაპარვის გამომწვევი მიზეზები, არ დატოვონ განუხილველად საბავშვო სახლებიდან აღსაზრდელების თვითნებურად წასვლის შემთხვევა;

დ) გადაჭრით გააუმჯობესონ ზოგადტექნიკური შრომითი სახელოსნოების მუშაობა პროგრამებისა და მეთოდურ მითითებათა საფუძველზე, არ დაუშვან აღსაზრდელთა შრომაში ჩაუბმელობის არცერთი შემთხვევა;

ე) უზრუნველჰყონ აღსაზრდელები სასწავლო-თვალსაჩინო ნივთებითა და სახელმძღვანელოებით;

ვ) ორი თვის ვადაში უზრუნველჰყონ ასაკგადაცილებულ აღსაზრდელთა (16 წლის და ზევით) სამუშაოდ მოწყობა წარმოებებსა და სოფლის მეურნეობაში, ან სახელოსნო სასწავლებლებსა, საფაბრიკო-საქარხნო და სამთო-სამრეწველო სკოლებში;

ზ) ის აღსაზრდელები, რომლებმაც რვა კლასი დაამთავრეს კარგი წარმატებებით და ასაკგადაცილებული არიან, არ დატოვონ საბავშვო სახლებში სწავლის გასაგრძელებლად სამინისტროს ნებართვის გარეშე;

თ) რაციონალურად გამოიყენონ ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები რბილი და მაგარი ინვენტარის შესაძენად;

ი) გადამჭრელი ზომები მიიღონ აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის;

კ) სისტემატურად იზრუნონ აღსაზრდელთა კვების გაუმჯობესებაზე, მტკიცედ იბრძოლონ იმისათვის, რომ სავაჭრო ორგანიზაციებმა შეუფერხებლად მოამარაგონ საბავშვო სახლები დადგენილი ნორმების მიხედვით, არ დატოვონ რეაგირების გარეშე კვების პროდუქტებით მომარაგების ჩაშლის შემთხვევები;

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (უფროსი ამხ. ა. კვაჭაძე) 1956 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს 82.500 მან. სასწავლო-სახელოსნოების მოწყობილობითა და ნედლეულით უზრუნველყოფისათვის.

4. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ს. არველაძე):

ა) უზრუნველყოს საბავშვო სახლები შრომითი სწავლებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებით;

ბ) მოთხოვნილების მიხედვით მიაწოდოს საბავშვო სახლებს რბილი და მაგარი ინვენტარი;

5. საბავშვო სახლების, სპეცსკოლების და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე) ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი საბავშვო სახლების ქსელისა და კონტინგენტის მოწესრიგების შესახებ;

ბ) მეტი კონტროლი და დახმარება გაუწიოს საბავშვო სახლებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე.**

ПРИКАЗ № 1538

по Министерству просвещения Грузинской ССР

1955 г. 13 сентября

Об итогах научно-методической сессии кафедр русского языка Тбилисского государственного университета имени Сталина и педагогических институтов Грузинской ССР

Отмечаю, что научно-методическая сессия кафедр русского языка Тбилисского государственного университета имени Сталина и педагогических институтов Грузинской ССР, состоявшаяся 27 — 28 мая с. г., прошла на высоком научном уровне и результаты сессии будут способствовать дальнейшему улучшению учебно-воспитательной и научно-исследовательской работы кафедр.

За последние годы в высших учебных заведениях значительно улучшилось обучение русскому языку, увеличился выпуск квалифицированных молодых кадров — учителей русского языка, заметно улучшилась научно-исследовательская и учебно-воспитательная работа кафедр русского языка.

Наряду с этим имеются существенные недостатки: отбор абитуриентов, поступающих в высшие учебные заведения, особенно на факультетах русского языка и литературы, не проводится с достаточной тщательностью, культура письма у части студентов все еще слаба, отсутствует связь с выпускниками институтов и незначительна помощь, оказываемая им высшими школами.

Студенты не обеспечены учебниками и учебными пособиями; в программах по русскому языку и литературе, рассчитанных на русские педагогические вузы, не получило никакого отражения своеобразие преподавания русского языка с нерусским составом студентов; до сегодняшнего дня не решен вопрос о координировании работ кафедр русского языка в системе высших учебных заведений Министерства просвещения Грузинской ССР.

В целях дальнейшего улучшения работы кафедр,

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Мероприятия, принятые на научно-методической сессии кафедр русского языка Тбилисского государственного университета им. И. В. Сталина и педагогических институтов Грузинской ССР от 27—28 мая 1955 г., одобрить.

2. Научные доклады, прочитанные на заседаниях сессии, издать. Создать редакционную комиссию в составе: проф. Ахвледиани Г. С., доц. Вачнадзе С. М., проф. Канкава М. В., Кизирия В. И., доц. Мгеладзе Д. С., доц. Мревлишвили Т. Н., доц. Харазишвили Т. А. и поручить ей подготовить эту книгу к печати к 25.XI—с. г.

3. Издательству научно-методического кабинета Министерства просвещения Грузинской ССР предусмотреть в плане 1956 года издание отдельным сборником научных докладов, прочитанных на научно-методической сессии кафедр русского языка Тбилисского государственного университета им. Сталина и педагогических институтов Грузинской ССР.

4. Управлению педагогических институтов и училищ, совместно с научно-историческим кабинетом, до 1. X. с. г. включить в план издательства подготовку и издание в течение 1956 — 1959 г. г. учебников и учебных пособий по русскому языку и литературе и отдельных брошюр в помощь учителям по методике преподавания русского языка и литературы.

5. Поручить управлению педагогических институтов и училищ:

а) до 1.I.1956 г. уточнить программы по русскому языку для педагогических вузов с учетом специфики родного языка студентов;

б) рекомендовать в педагогических институтах Грузинской ССР на факультетах русского языка и литературы в качестве факультативного курса сравнительную грамматику русского и грузинского языков;

в) ежегодно в апреле-мае проводить научно-методические сессии кафедр русского языка Тбилисского государственного

университета имени Сталина и педагогических вузов Грузинской ССР как в Тбилиси, так и в других городах республики.

6. Образовать при Министерстве просвещения Грузинской ССР постоянную комиссию по координации работ кафедр русского языка и возложить на нее руководство планирования научно-исследовательских и научно-методических работ кафедр русского языка Тбилисского государственного университета имени Сталина и педагогических институтов Грузинской ССР.

Просить ректора Тбилисского государственного университета имени Сталина — проф. В. Д. Купрадзе выделить двух преподавателей для включения в состав комиссии по координации.

7. Поручить редакции газеты «Сахалхо Ганатлеба» и журнала «Коммунистури агзрдисатвис» систематически освещать вопросы, касающиеся преподавания русского языка в высших учебных заведениях Грузинской ССР.

Основание: Постановление Коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 2 сентября 1955 г.

Зам. Министра просвещения
Грузинской ССР **М. Бурчуладзе.**

ბრძანება № 1623

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 22 სექტემბერი

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის 1955 წლის საზაფხულო საკურსო ღონისძიებათა შედეგების შესახებ.

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა 1955 წლის ზაფხულის პერიოდში მოწყობილ სახალხო განათლების მუშაკთა დახელოვნების კურსებზე.

მოსამზადებელი მუშაობის დროულად ჩატარების შედეგად 1955 წლის ზაფხულში მოეწყო დახელოვნების კურსების 105 ჯგუფი 3153 მსმენელით.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, თელავის, ბორჯომის, მარნეულის, ჩხოროწყუს, გორის, ჭიათურის, ცხა-

კაიას, ზუგდიდის, სამტრედიის, ლაგოდეხის, ქარელის, საჩხერის და სხვა რაიონების განათლების განყოფილებები საჭირო პასუხისმგებლობით მოეკიდნენ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს და უზრუნველყვეს კურსების მსმენელთა კონტინგენტის სწორად შერჩევა და კურსებზე მათი დროულად მივლინება.

საზაფხულო საკურსო ღონისძიებათა ჩატარების საქმეში ადგილი ჰქონდა არსებით ნაკლოვანებებსაც:

ზაფხულის კურსების მსმენელთა კონტინგენტის საერთო გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, ქ. თბილისისა და ქ. გორის, თიანეთის, წალკის, ბოლნისის, ყაზბეგის, მესტიის, მახარაძის, ლენტეხის, ფოთის, ბოგდანოვკის, სიღნაღის, ადიგენის და ზოგიერთი სხვა რაიონის განათლების განყოფილებებმა ვერ უზრუნველყვეს მიცემული გეგმის შესრულება.

ადგილი ჰქონდა დახელოვნების კურსებზე გასაგზავნ მუშაკთა არასწორად შერჩევისა და კურსებზე დაგვიანებით მივლინება-გამოცხადების შემთხვევებს; ზოგიერთი მუშაკი წელსაც არიდებდა თავს დახელოვნების კურსებზე წასვლას, ხოლო კურსებზე გამოცხადებული ზოგიერთი მსმენელი სათანადოდ არ ზრუნავდა თავისი პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

მასწავლებელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

დაევალოს-მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს ამხ. გ. ასპინძელაშვილს:

ა) მიიღოს საჭირო ზომები 1955 წლის საკურსო ღონისძიების გეგმის შესასრულებლად;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დახელოვნების კურსების მუშაობაში ლექტორთა საუკეთესო კადრების ჩაბმას; მეტი ყურადღება მიაქციოს კურსებზე პრაქტიკული მუშაობის ჩატარებას და მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება-გავრცელებას;

გ) გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი სამეცადინო და საცხოვრებელი ბინებითა და საჭირო ხელსაწყო-იარაღებით მსმენელთა უზრუნველსაყოფად;

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მასწავლებელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიკურ-მეთოდიკური დონის ამაღლებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მიიღონ ქმედითი ზომები იმ მასწავლებელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ დახელოვნების კურსებზე წასვლას და სათანადოდ არ ზრუნავენ თავიანთი პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

გ) აღრიცხონ და დააზუსტონ 1956 წელს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზით მოსაწყობ დახელოვნების კურსებზე გასაგზავნ მუშაკთა კონტინგენტი (კურსების სახეების მიხედვით) და ამის შესახებ ა/წლის 10 დეკემბრამდე წერილობით აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს, დროულად დააფინანსოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი საჭირო თანხებით.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ დააწესოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 16 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე.**

ბრძანება № 1635

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წ. 24 სექტემბერი

პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა რესპუბლიკური VII სპარტაკიადის ჩატარების შედეგების შესახებ

ა. წ. 1 ივლისიდან 10 ივლისამდე ქ. სოხუმში ჩატარდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა VII სპარტაკიადა. სპარტაკიადის პროგრამაში წარმოდგენილი იყო სპორტის შემდეგი სახეები: კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა და ტანვარჯიში. სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, გორის, სტალინირის, თელავის, თბი-

ლისის უცხო ენათა და პუშკინის სახ. პედაგოგიურმა ინსტიტუ-
ტებმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპარტაკიადაში მონაწილეობდა:

1. კალათბურთის	11	გუნდი	99	სტუდენტი
2. ფრენბურთის	13	„	104	„
3. მძლეოსნობის	8	„	116	„
4. ტანვარჯიშის	8	„	55	„
სულ	40	გუნდი	374	სტუდენტი

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 185 ქალმა და 189 ვაჟმა.
სპარტაკიადაში საერთო პირველი ადგილი დაიკავა ზათუმის
პედაგოგიურმა ინსტიტუტმა.

II ადგილი — ქუთაისის პედინსტიტუტმა
III „ — სოხუმის პედინსტიტუტმა
IV „ — თბილისის პუშკინის სახ. პედინსტიტუტმა
V „ — გორის პედინსტიტუტმა
VI „ — სტალინირის პედინსტიტუტმა
VII „ — თბილისის უცხო ენათა პედინსტიტუტმა
VIII „ — თელავის პედინსტიტუტმა

წინა წლებთან შედარებით დაბალი იყო მძლეოსნობის შედეგ-
ები, 116 თანრიგოსან სტუდენტიდან მხოლოდ 36 კაცმა უჩვენა თან-
რიგი, ე. ი. 31% (აქედან მხოლოდ 4 კაცმა უჩვენა მეორე სპორტუ-
ლი თანრიგი).

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ პედაგოგიურ ინსტიტუ-
ტებში უხარისხოდ ან სულ არ ტარდება მძლეოსნობის სექციებში
მეცადინეობები. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრები
მხოლოდ შეჯიბრების წინა პერიოდში იწყებენ წვრთნას. უხასია-
თოდ ატარებენ შინასაინსტიტუტო შეჯიბრებებსა და სპარტაკი-
ადებს.

ანალოგიური მდგომარეობა იყო ტანვარჯიშის შეჯიბრებაშიაც.
54 მონაწილიდან თანრიგი უჩვენა მხოლოდ 33 სტუდენტმა.

აღნიშნული ციფრები ცხადყოფენ, რომ რიგ პედაგოგიურ ინს-
ტიტუტებში მაღალი თანრიგის მქონე სპორტსმენების მომზადების
საქმე ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას, პედაგოგიური ინსტიტუტის
დირექტორები, ფაკულტეტის დეკანები და ფიზიკური აღზრდისა და
სპორტის კათედრები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ

სტუდენტთა საერთო ფიზიკური მომზადების საქმეს, კმაყოფილდებიან რა სტუდენტთა მცირე ჯგუფის სპორტული მიღწევებით, სტუდენტთა შორის ფიზკულტურულ მასობრივ მუშაობას ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას, მაგალითად:

მშთ II საფეხურზე სტუდენტების მომზადების საქმე გასულ წელს თბილისის პუშკინის სახელობის, გორის, თელავისა და სტალინირის პედაგოგიურ ინსტიტუტებში მთლიანად ჩაიშალა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა VII სპარტაკიადის ტექნიკური შედეგები დამტკიცდეს (დანართი № 1).

2. სპარტაკიადაზე საერთო პირველი ადგილის დაკავებისათვის ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი დაჯილდოებული იქნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გარდამავალი თასით, ალამითა და პირველი ხარისხის დიპლომით. ქუთაისისა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტები ალმებითა და შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

3. სპარტაკიადაზე სპორტის ცალკეულ სახეში გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომებითა და ალმებით.

4. სპორტულ თამაშობებში, მძლეოსნობასა და ტანვარჯიშში მიღწეოსანი სტუდენტები დაჯილდოებული იქნან ფასიანი საჩუქრებით (დანართი № 2).

5. სტუდენტთა შორის სპორტ-მასობრივი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისა და 1956 წლის საქართველოს რესპუბლიკურ-სპარტაკიადაში მაღალი შედეგების მიღწევის მიზნით პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორებმა:

ა) სისტემატური დახმარება და კონტროლი გაუწიონ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრებს სპორტ-მასობრივი მუშაობის გაშლაში;

ბ) ადგილებზე ხშირად ჩაატარონ შინასაინსტიტუტო შეჯიბრებები და სპარტაკიადები სპორტის ძირითად სახეებში და მშთ შრავალჭიდში;

გ) მძლეოსნობის—სპორტის ამ ერთ-ერთი წამყვანი სახის განვითარებისა და მასში მაღალი შედეგების მიღწევის მიზნით, შეარ-

ჩიონ და ჩააბან მეტი რაოდენობით კარგი მონაცემების მქონე სტუ-
დენტები, მოაწყონ მათთან სისტემატური წვრთნა — ვარჯიში.

დ) გაითვალისწინონ ღონისძიებანი ინსტიტუტების სასპორტო-
მატერიალური ბაზების გასაუმჯობესებლად და სპორტული ინვენტა-
რის შესაძენად იმ ანგარიშით, რომ სტუდენტებს შეეძლოთ სისტემა-
ტური ვარჯიში;

ე) სპორტის ცალკეულ სახეებში წვრთნისა და მშთ კომპლექსის
ჩაბარებისათვის ფართოდ გამოიყენონ ზაფხულისა და ზამთრის არ-
დადეგები, სპორტული შეჯიბრებები, გადასვლები, ლაშქრობები და
სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები.

ვ) ხელი შეუწყონ სისტემატურ წვრთნაში იმ მიღწეოსან-სტუ-
დენტებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკურ და
სსრ ხალხთა სპარტაკიადაში.

6. ბათუმისა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტების დირექ-
ტორებმა მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი პირობები და
გადაჭრით გააუმჯობესონ სპორტსმენ-მოცურავეთა მომზადების
საქმე.

7. დაევალოს პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სასწავლებლე-
ბის სამმართველოს მომავალ წელში ჩაატაროს, როგორც პედაგოგი-
ური ინსტიტუტების სტუდენტთა, ისე პედაგოგიური სასწავლებლე-
ბის მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფი-
ნანსო სამმართველომ (ამხ. ალ. კვაჭაძე) 1956 წლის ბიუჯეტში გაი-
თვალისწინოს ხარჯები პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა
VII და პედაგოგიური სასწავლებლების მოსწავლეთა მეორე სპარ-
ტაკიადის ჩასატარებლად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე.**

დანართი № 1

სტუდენტთა VII სპარტაკიადის ტექნიკური შედეგები

I. კ ა ლ ა თ ბ უ რ თ ი

ქ ა ლ ე ბ ი

I — ადგილი — თბილისის პუშკინის სახ. პედინსტიტუტი
II — „ — ბათუმის პედინსტიტუტი
III — „ — თბილისის უცხო ენათა პედინსტიტუტი

IV — „ — ქუთაისის პედინსტიტუტი
V — „ — გორის პედინსტიტუტი
VI — „ — სოხუმის პედინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟები

I — ადგილი — სოხუმის პედინსტიტუტი
II — „ — ქუთაისის პედინსტიტუტი
III — „ — გორის პედინსტიტუტი
IV — „ — თბილისის პუშკინის სახ. პედინსტიტუტი
V — „ — ბათუმის პედინსტიტუტი

2. ფრანგული

ქალები

I — ადგილი — სოხუმის პედინსტიტუტი
II — „ — თბილისის პუშკინის სახ. პედინსტიტუტი
III — „ — გორის პედინსტიტუტი
IV — „ — თბილისის უცხო ენათა პედინსტიტუტი
V — „ — სტალინირის პედინსტიტუტი
VI — „ — ბათუმის პედინსტიტუტი
VII — „ — ქუთაისის პედინსტიტუტი

ვაჟები

I — ადგილი — სოხუმის პედინსტიტუტი
II — „ — გორის პედინსტიტუტი
III — „ — ქუთაისის პედინსტიტუტი
IV — „ — ბათუმის პედინსტიტუტი
V — „ — სტალინირის პედინსტიტუტი
VI — „ — თბილისის პუშკინის სახ. პედინსტიტუტი

3. ტანვარჯიში

I — ადგილი — თბილისის პუშკინის სახ. პედინსტიტუტი
II — „ — ქუთაისის პედინსტიტუტი
III — „ — ბათუმის პედინსტიტუტი
IV — „ — გორის პედინსტიტუტი

V — „ — სტალინირის პედინსტიტუტი
VI — „ — სოხუმის პედინსტიტუტი
VII — „ — თბილისის უცხო ენათა პედინსტიტუტი
VIII — „ — თელავის პედინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მძლეოსნობა

I — ადგილი — ბათუმის პედინსტიტუტი
II — „ — ქუთაისის პედინსტიტუტი
III — „ — სოხუმის პედინსტიტუტი
IV — „ — გორის პედინსტიტუტი
V — „ — სტალინირის პედსასწავლებელი
VI — „ — პუშკინის სახ. თბილისის პედინსტიტუტი
VII — „ — თელავის პედინსტიტუტი
VIII — „ — თბილისის უცხო ენათა პედინსტიტუტი

დანართი № 2

სტუდენტ სპორტსმენთა სია, რომლებიც დაჯილდოვდნენ განათლების სამინისტროს მიერ ფასიანი საჩუქრებით.

კალათბურთი

ქალები	ვაჟები
1. გიორგობიანი გ. ს.	1. სედოვი ა. მ.
2. აროვა კ. პ.	2. ქობალია გ. შ.
3. თედიაშვილი ე. ა.	3. გუბაზი დ. შ.
4. ზურაბაშვილი ლ. მ.	4. გაბედავა გ. ვ.
5. ნიკიტინა ი. პ.	5. გამსახურდია ზ. ლ.
6. ბურცევა ვ. ვ.	6. სილაგაძე ა. ბ.
7. დარჩია ლ. პ.	7. თვარაძე ჟ. ა.
8. ჯიჯიაშვილი ე. ს.	8. ლეთოდიანი ა. მ.
9. ლავრენჩუკი ე. ს.	9. კაკაბაძე ვ. ა.
10. შტირინა ე. ს.	10. მურადოვი ჰ. ა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრენბურთი

ქალები	ვაჟები
1. ახალაია ზ. ა.	1. გვალია პ. ნ.
2. ბოკუჩავა ს. მ.	2. ტაჩილიანი გ. გ.
3. კოჩანოვა ტ. პ.	3. როგაზენსკი ა. ბ.
4. კარპუხოვა გ. ი.	4. ბჟანია ვ. ვ.
5. ახალაია მ. პ.	5. ბარსეგოვი ვ. ა.
6. ნესტოროვა კ. ი.	6. ბაშკოვი რ. დ.
7. ციტოხცევა ს. ა.	7. ნოზაძე რ. ს.
8. სპირიდონოვა ვ. ა.	8. ხარაძე ი. ნ.

მძლეოსნობა

1. გაბელია რ. ე.
2. ფათლაძე ზ. შ.
3. კუჭუხიძე მ. ი.
4. ფონია ა. მ.
5. ბოხუა გ. ე.
6. რამაზანოვი მ. ი.
7. ალექსანდროვი ვ. მ.
8. მიქელაძე ვ. ს.
9. ბოკუჩავა მ. მ.
10. ძნელაძე ე. ს.
11. ნუცუბიძე ზ. ე.
12. დოცენკო ა. პ.
13. წულუკიძე ი. ბ.
14. ერქომაიშვილი მ. დ.
15. ჩოჩიევი ა. რ.
16. თოთიბაძე გ. ს.
17. სიდამონიშვილი პ. გ.
18. გაბუნია დ. ვ.
19. აბზიანიძე ვ. გ.
20. სილაძე ი. გ.

ტანვარჯიში

1. ლალებაშვილი გ. ნ.
2. კობახიძე ც. ა.
3. სალადიხინი ა. ა.
4. ვოსკრესენსკაია ლ. ს.
5. კაჭახიძე რ. ო.
6. დოლჟენკო ლ. ა.

ბრძანება № 2235

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 15 აგვისტო

1955 წელს უმაღლესი და საშუალო პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სამუშაოზე განაწილების შესახებ

გავეცანი რა მიმდინარე სასწავლო წელს უმაღლესი და საშუალო პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სამუშაოზე გა-

ნაწილების მასალებს, აღვნიშნავ, რომ 1955 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილების საქმეში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, პედაგოგიური ინსტიტუტებისა და პედაგოგიური სასწავლებლების მუშაკთა გარდა მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური სსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების, რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილების ხელმძღვანელმა მუშაკებმა. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში მყოფი უმაღლესი განათლების მქონე 2283 და საშუალო პედაგოგიური განათლების მქონე 926 სპეციალისტიდან სამუშაოზე განაწილდა 2522 ახალგაზრდა სპეციალისტი. მათ შორის:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთაგან — 1745 კაცი;

2. ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან 357 კაცი;

3. თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულთაგან 27 კაცი;

4. რსფსრ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის მიერ მოვლინებულ ახალკურსდამთავრებულთაგან 12 კაცი;

5. სომხეთის სსრ განათლების სამინისტროს მიერ მოვლინებულ უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტებიდან 34 კაცი;

6. აზერბაიჯანის სსრ განათლების სამინისტროს მიერ მოვლინებულ უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტებიდან 24 კაცი;

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან 328 კაცი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგემ:

ა) მათ განკარგულებაში მივლინებულ ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე დანიშვნა დაამთავრონ სასწავლო წლის დაწყებამდე;

ბ) უზრუნველყონ ახლადდანიშნულ ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე დროულად გამოცხადება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სამუშაოზე არ მიიღონ ის ახალგაზრდა სპეციალისტი, ვინც ასევე ლიც მათ განკარგულებაში არ არის მივლინებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ;

დ) 1955 წლის 20 სექტემბრისათვის წარმოადგინონ წერილობითი ანგარიში მათ განკარგულებაში მივლინებული თვითეული ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე განაწილებისა და სამუშაოზე გამოცხადების შესახებ.

2. რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სასწავლო წლის დაწყებამდე მოაწყონ დამწყებ მასწავლებელთა შეხვედრა და გააცნონ მათ საბჭოთა სკოლისა და მასწავლებლის წინაშე მდგომი ამოცანები;

ბ) განათლების განყოფილების მუშაკების და სკოლის დირექტორების დახმარებით უზრუნველჰყონ რაიონის (ან ქალაქის) განათლების განყოფილებაში გამოცხადებული ახალგაზრდა სპეციალისტის გამგზავრება იმ სოფელში (ან ქალაქში), სადაც ის დანიშნულია მასწავლებლად;

გ) დამწყები მასწავლებლებისათვის პედაგოგიურ-მეთოდურ და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე საჭირო დახმარების გასაწევად ფართოდ გამოიყენონ სკოლებში მომუშავე დახელოვნებული მასწავლებლები, პედაგოგიური კაბინეტისა და განათლების განყოფილების მუშაკები;

დ) მიიღონ საჭირო ზომები, რათა დამწყებ მასწავლებლებზე სხვა მასწავლებლებთან თანაბრად გავრცელდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 თებერვლის № 246 დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათები და უპირატესობა;

ე) ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე გამოცხადება და მუშაობის დაწყება 15 სექტემბრამდე აცნობოს უმაღლესი და საშუალო პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორებს;

ვ) 1955 წლის 15 სექტემბრამდე წარმოადგინონ წერილობითი ანგარიში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში, შესაბამისად აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებაში

თვითეულ ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაო ადგილზე გამოცხადების და მუშაობის დაწყების შესახებ.

ამავე რიცხვისათვის წარმოადგინონ წერილობითი ანგარიში დამწყებ მასწავლებლებთან ჩატარებული მუშაობის შესახებ.

3. პედაგოგიური ინსტიტუტებისა და პედაგოგიური სასწავლებლების დირექტორებმა:

ა) ახალკურსდამთავრებულთა სამუშაოზე განაწილების და მათი სამუშაოზე გამოცხადების შედეგები განიხილონ სამეცნიერო და პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე;

ბ) უზრუნველჰყონ თვითეული კურსდამთავრებულისათვის სამუშაოზე დანიშვნის საგზურის ჩაბარება, კანონით კუთვნილი გადასაყვანი და საშვებულებო თანხის დროულად გაცემა და დანიშნულ ახალკურსდამთავრებულის დროულად გამგზავრება სამუშაო ადგილებზე;

გ) კავშირი იქონიონ სამუშაოზე გაგზავნილ ახალკურსდამთავრებულებთან, მეთვალყურეობა გაუწიონ მათ მუშაობას და აღმოუჩინონ საჭირო მეთოდურ-პრაქტიკული დახმარება;

დ) მტკიცედ იხელმძღვანელონ სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით — „სპეციალური უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტების პერსონალური განაწილების შესახებ“;

ე) 1955 წლის 1 ოქტომბრამდე წარმოადგინონ ამ ბრძანების შესრულების შესახებ წერილობითი ანგარიში.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (უფროსი ამხ. ი. კვაჭაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას და შედეგი მოახსენოს კოლეგიას ა/წ 1 ნოემბრამდე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 12 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე

ტექრედაქტორი ბ. გუნიავა

სასტამბო ფორმათა რაოდენობა 2. შეკვეთა № 1258 უე 08013 ტირაჟი 5000

თბილისი, სტამბა „ლენინსკოე ზნამია“, ძნელაძის ქ. № 21.